community

The New Apostolic Church around the world

03/2023/GE

ვიმსახურროთ ქრისტესთან ერთად - მითითებანი

რედაქციისგან
ჭირსა და ლხინში

ღვთისმსახურება
ვიმსახურროთ ქრისტესთან
ერთად - მითითებანი

საეკლესიო მოძღვრება
ქალების ორდინაცია:
იესო ქრისტე და ეკლესია

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 ჭირსა და ლხინში

ღვთისმსახურება

4 ვიმსახუროთ ქრისტესთან ერთად - მითითებანი

რეგიონალური ნაწილი

10 სიახლეები საქართველოდან

საბავშვო კუთხე

12 იესო და სამარიელი ქალი

14 სტუმრად როზელთან სეტუბალში (პორტუგალია)

დოქტრინა

16 ქალების ორდინაცია: იესო ქრისტე და ეკლესია

■ თავფურცელის ფოტო: მიხეილ ოვინო
■ უკანა გვერდის ფოტო: ტიმპენი

ჭირსა და ლხინში

ფოტო: სახსე

საყვარელო ძმებო და დებო,

ღმერთი არავის ივიწყებს. მან იცის შენი აზრები, მან იცის შენი პრობლემები, ის იზიარებს შენს ტკივილს. მიენდე მას. ის დაგეხმარება.

სულიწმიდის ამ გზავნილით, უპ. ყოვლისა, იმათ მინდა მივმართო, რომლებიც სირთულეებსა და გაჭირვებას გადიან. ბევრ ძმასა და დას ავადმყოფობასთან შეგუება უწევს, სხვები გლოვობენ, ზოგი კი სამსახურში, ოჯახში, პარტნიორულ ურთიერთობებში არსებულ პრობლემებს უნდა გაუმკლავდეს. ზოგსაც ფინანსური პრობლემები აწუხებს.

ამ გზავნილით კიდევ იმათ მინდა მივმართო, რომლებიც მეორე მხარეს დგანან. იმათ, რომლებიც კარგად ცხოვრობენ, უბრალოდ ბედნიერები, მხიარულები არიან. შეიძლება ცოტა რცხვენიათ კიდეც იმის, რომ პრობლემები არა აქვთ. ისინი კურთხევას, ღმერთის თანყოფნას განიცდიან. ნუ გრცხვენიათ. იესო იზიარებს თქვენს სიხარულს. შეძლებისდაგვარად, მადლობა გადაუხადეთ მას და დატკბით ღვთის მიერ თქვენთვის ნაწყალობევი კურთხევით.

გულითადი მოკითხვებით

ჟან-ლუკ შნაიდერი

ვიმსახუროთ ქრისტესთან ერთად - მითითებანი

800-მდე მონაწილე ელოდა პირველმოციქულის ვიზიტს ნაირობიში (კენია)

ფოტოები: მიიკელ ოვინო, ტიმპანი

იესო 24, 15

„მე და ჩემი სახლი კი უფალს ვემსახურებით“

ჩემო საყვარელო ძმებო და დებო, გუშინ შესანიშნავი დრო გავატარეთ აქ ახალგაზრდების წრეში და ჩემთვის სასიამოვნო იყო კენიის, უგანდის, ტანზანიის და სამხრ. სუდანის ყველა მოციქულთან ერთად ყოფნა. და ძალიან მინდა, რომ ყველამ, ვინც ჩვენთან არის დაკავშირებული, იგივე სიხარული შეიგრძნოს და განიცადოს, რაც ჩვენ ერთად შევიგრძენით და განვიცადეთ! გუშინ ძალიან გამახარა ცალკეული სამოციქულო მხარეების სტენდების მონახულებამ. იქ მყოფმა ახალგაზრდებმა ამიხსნეს, თუ როგორ ემსახურებიან ისინი უფალს ეკლესიის შიგნითა და გარეთ.

თქვენ მე მაჩვენთ, თუ რას აკეთებთ ეკლესიაში და რას აკეთებთ მაშინ, როცა ეკლესიაში არ ხართ. მე ამას ნამდვილად ვაფასებ, ვინაიდან ეს რაღაც მნიშვნელოვანის მაჩვენებელია: ჩვენ, ღვთის

შვილებს, ორი სიცოცხლე არა გვაქვს - ერთი, როცა ეკლესიაში ვართ, და მეორე, პირადი, როცა იქ არ ვართ. ჩვენი სურვილია, ვიყოთ იესოს ჭეშმარიტი მოწაფეები, და იესოს მოძღვრებისამებრ ვიცხოვროთ მაშინაც, როცა ეკლესიაში ვართ, და მაშინაც, როცა ეკლესიის გარეთ ვიმყოფებით. მოდით, თემში, მაგრამ ასევე პირად ცხოვრებაში, მოვიქცეთ როგორც ქრისტეს მოწაფეები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ასევე ცოლ-ქმრისათვისაც სახლში. მოდით, როგორც ცოლ-ქმარი, ქრისტეს მოწაფეები ვიყოთ. მოდით, ქრისტეს ჭეშმარიტი მოწაფეები ვიყოთ ოჯახში, ჩვენს სტუდენტურ ცხოვრებაში, სამსახურში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არ არსებობს იმის მიზეზი, რომ ცხოვრების რომელიმე სფეროში მცნებები არ დავიცვათ. მოდით, ყოველთვის ქრისტეს ჭეშმარიტი მოწაფეები და მსახურები ვიყოთ.

ჩვენს დღევანდელ ციტატაში ლაპარაკია იესო ნავეს ძეზე. თქვენთვის ცნობილია ეს ისტორია. ის ღმერთის ჭეშმარიტი მსახური იყო. მან მოსესთან ერთად გადალახა უდაბნო; მოსესავით მასაც სწამდა იმ ღვთიური აღთქმის, რომ ღმერთი მის ხალხს ეგვიპტის ტყვეობიდან გაათავისუფლებდა და აღთქმულ ქვეყანაში მიიყვანდა. ეს მძიმე ისტორია იყო, მაგრამ მოსესა და იესო ნავეს ძეს სწამდათ ღვთის აღთქმისა და ენდობოდნენ მას.

მოდით, ვემსახუროთ უფალს, მაგრამ ვემსახუროთ ქრისტესთან ერთად.

როცა მოსემ იესო ნავეს ძე მზვერავად გაგზავნა ქანაანში, დაბრუნების შემდეგ მან თქვა: „ნუ გეშინიათ ამ ხალხის. ღმერთი შეგვპირდა, რომ ჩვენთან იქნება, და ის იქნება ჩვენთან“ (შევ. რიცხ. 14, 6-9). სამწუხაროდ, სხვა მზვერავებს მსგავსი ნდობა არ ჰქონდათ ღვთის მიმართ; მაგრამ იესო ნავეს ძეს არ შეუწყვეტია უფლის სამსახური.

მას შემდეგ, რაც ის მოსეს მემკვიდრე გახდა, ისრაელის ხალხი აღთქმულ ქვეყანაში შეიყვანა და ყველა მტერი დაამარცხა. სიცოცხლის ბოლოს მთელ ხალხს ერთად მოუყარა თავი იმის შესახსენებლად, რომ ღმერთმა დაიცვა დანაპირები. ხალხს მადლიერებისკენ მოუწოდა და უთხრა: „ახლა შეგიძლიათ აკეთოთ ის, რაც გსურთ, ‘მე და ჩემი სახლი კი უფალს ვემსახურებით“ (შევ. იესო 24, 14. 15).

იესო ნავეს ძე ღმერთს ემსახურებოდა, რამეთუ სწამდა მისი სიტყვა და ენდობოდა მას. მართალია, ჯერ კიდევ არ აღსრულებულიყო ყველა ღვთიური აღთქმა, მაგრამ ის ენდობოდა ღვთის სიტყვას; და შემდგომში, როცა დაინახა მან, რომ ღმერთმა შეასრულა დანაპირები, უფალს დიდი მადლიერებით ემსახურებოდა.

საყვარელო ძმებო და დებო, ეს ჩვენც გვეხება. ღმერთმა შესანიშნავი რამ აღგვითქვა. მას ჩვენი მის სასუფეველში შეყვანა სურს, სადაც ქრისტესთან ერთად მსახურებასა და მართვას შევძლებთ. ახალ შემოქმედებაში უფლის სამსახურში ვიქნებით, მის ქება-დიდებასა და თაყვანისცემაში. და ისევ გავიმეორებ: ათასობით წელიც რომ გავიდეს, ჩვენ ისევ გვექნება უფლის დიდებისა და მისთვის მადლის შეწირვის საკმარისი საფუძველი. ის, რასაც იგი მოგვცემს, იმდენად დიდებულია, რომ არასოდეს შევწყვეტთ მის დიდებასა და მისთვის მადლობის თქმას. ასე ვიქნებით უფლის სამსახურში საუკუნოდ.

ჩვენ თაყვანს ვცემთ და ვადიდებთ მის სახელს და მასთან ერთად ვიმეფებთ. ვინმეზე კი არ ვიბატონებთ, არამედ წილი გვექნება უფლის დიდებაში, მის გამარჯვებაში ცოდვაზე და ბოროტზე გაბატონებაში. ეს ის აღთქმაა, რომელიც ჩვენ მოგვეცა; და რამეთუ გვწამს უფლის აღთქმისა და ვენდობით მას, გვსურს, რომ ახლავე ვემსახუროთ უფალს. მოდით, ვისწავლოთ ის, თუ რას გავაკეთებთ მარადისობაში.

ზოგი რამ, რაც ღმერთმა აღგვითქვა, უკვე აღსრულდა. უკვე გვაქვს ღვთის მიმართ მადლიერების საფუძველი. ჩვენ მადლობას ვუხდით ღმერთს იესო ქრისტეს მიერ გაღებული მსხვერპლის გამო.

მადლობას ვუხდით ღმერთს რჩეულებისათვის. მადლობას ვუხდით მას იმის გამო, რომ ღვთის შვილები გავხდით და საიდუმლოების მიღება შევძელით.

ზოგჯერ ამბობენ, რომ ქრისტიანული რწმენა ეფუძნება „უკვე“ და „ჯერ კიდევ არა“-ს. როცა იესო ამქვეყნად მოვიდა, ის მომავალ ღვთის სასუფეველს ქადაგებდა, მაგრამ ამბობდა, რომ ის უკვე ადამიანებს შორის იყო (შევ. ლუკ. 17, 21). იესომ ცოდვასა და ბოროტს სძლია. ეს უკვე მოხდა და ეს საბოლოოა. თუმცა ამ გამარჯვების ყველა შედეგი ჯერ კიდევ არ ჩანს, ვინაიდან ბოროტი ჯერ ისევ ძლიერია ამქვეყნად. ჩვენ უკვე ღვთის შვილები ვართ, მაგრამ რანი ვიქნებით, ჯერ კიდევ არ არის

ღმერთს სიყვარულით უნდა ვემსახუროთ.

ცხადი (შევ. 1. იოან. 3, 2). მაშასადამე, უფალს იმიტომ ვემსახურებით, რომ ვენდობით ღმერთს. ბევრი რამ, რასაც იგი შეგვპირდა, ჯერ კიდევ არ ჩანს, მაგრამ ჩვენ ვენდობით მას. ჩვენ მას ვემადლიერებით იმის გამოც, რაც უკვე ხილულია.

თქვენ იცით, თუ როგორ ვემსახურებით ღმერთს: ღვთისმსახურებაზე ღმერთის თაყვანსაცემად და მისი სახელის სადიდებლად ვიკრიბებით. უფალს იმითაც ვემსახურებით, რომ მას ჩვენს უფლად და მოძღვრად ვაღიარებთ. ეს მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ვისაც უფლისათვის მსახურება სურს, მან უნდა აღიაროს, რომ იესოა უფალი, თავად კი მსახურია, რომელიც პატივს სცემს მის კანონსა და მცნებებს; მისთვის მისაღებია ის, რომ უფლის ნება მის საკუთრ ნებაზე მაღლა დგას. გაიხსენეთ მარიამი, იესოს დედა: როცა უთხრეს, რომ ღვთის ძეს მოავლენდა ამქვეყნად, ასე უპასუხა მან ანგელოზს: „აჰა, უფლის მხევალი ვარ. მეყოს მე შენი სიტყვისამებრ“ (ლუკ. 1, 38).

უფალს იმითაც ვემსახურებით, რომ ჩვენი წვლილი შეგვაქვს ხსნის საქმეში. მოყვასს იმაში ვეხმარებით, რომ ჰპოვოს ხსნის გზა და ამ გზით იაროს. გვინდა, რომ ჩვენი შემწეობით მანაც აღმოაჩინოს სიყვარული, რომელსაც ღმერთი ავლენს მის მიმართ. ღმერთს შემდეგნაირად ვემსახურებით: თაყვანს ვცემთ მას, ვემორჩილებით და ჩვენი წვლილი შეგვაქვს ხსნის საქმეში.

ჩვენი წლევანდელი დევიზი ასე ჟღერს: „ვიმსახუროთ და ვმართოთ ქრისტესთან ერთად“. ჩემო საყვარელო ახალგაზრდებო, ჩემო საყვარელო ძმებო და დებო, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ უფლისათვის მსახურება გვსურს, მაგრამ ქრისტესთან ერთად მსახურების სურილი უნდა გვქონდეს. ჩვენ არ გვსურს ღმერთს ისე ვემსახუროთ, როგორც ძველი აღთქმის ხალხი აკეთებდა ამას. ჩვენ ქრისტიანები ვართ, ქრისტეს მიმდევრები, ე. ი., ქრისტესთან ერთად გვინდა ვიმსახუროთ. ქრისტემ გასაგებად ახსნა, რომ ადამიანი უფალს მხოლოდ წესების გარკვეული რაოდენობის დაცვით არ ემსახურება. იმჟამად იუდეველებს გრძელი სია ჰქონდათ იმისა, თუ რა უნდა დაეცვათ, და სჯეროდათ, რომ, თუკი დაიცავდნენ მათ, ღვთიურ კურთხევას ავტომატურად მიიღებდნენ. არა! იესომ თქვა, რომ უმნიშვნელოვანესი მცნება სიყვარულის მცნებაა. „გიყვარდეს ღმერთი შენი და გიყვარდეს მოყვასი შენი!“ (შევ. მარკ. 12, 28-34).

მაშასადამე ღმერთს სიყვარულით უნდა ვემსახუროთ. ეს პრობლემა იყო ძველ აღთქმაში. ისინი ემსახურებოდნენ უფალს და იცავდნენ მის მცნებებს, მაგრამ ამას კურთხევის მისაღებად აკეთებდნენ. და თუ სასურველი შედეგი არ დადგებოდა,ფიქრობდნენ,რომსხვაღვთაებისათვის, რომელიმე კერპისათვის, მსახურება აჯობებდა. სასურველის მიღებას ისინი ამ გზით ცდილობდნენ. უფალს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ემსახურებოდნენ. მათ სურდათ, რომ გაწეული სამსახურისთვის სათანადო საზღაური მიეღოთ. იესო კი მოუწოდებდა, რომ სიყვარულით ემსახურათ ღვთისათვის.

როცა სატანა საცდუნებლად მივიდა მასთან, იესომ უთხრა: „უფალს, შენს ღმერთს, ეცი თაყვანი და

მხოლოდ მას ემსახურე“ (მათ. 4, 10). მოდით, ქრისტესთან ერთად ვიმსახუროთ! ღმერთს მხოლოდ სიყვარულით ვემსახურებით, მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზეზით. ჩვენ არ გვჭირდება სხვა ღმერთი, სხვა კერპი. უფალს იმიტომ ვემსახურებით, რომ ვენდობით მას.

ღმერთს მის სადიდებლად ვემსახურებით სიყვარულით და არა ჩვენთვის სახელის მოსახვეჭად. ერთხელ იესომ საკმაოდ მკაფიოდ გამოთქვა თავისი აზრი, როცა იმ ხალხზე ლაპარაკობდა, რომლებიც მიდიოდნენ ტაძარში და დიდ შესაწირს სწირავდნენ. შემდეგ დადიოდნენ მთელ ქალაქში და გაჰყვიროდნენ, რომ შესაწირი გაიღეს, რათა ყველას სცოდნოდა ეს. ისინი ღმერთს კი არ ემსახურებოდნენ, არამედ საკუთარ სახელ-დიდებას ეძებდნენ. ვინც ქრისტესთან ერთად არ მსახურებს, ის საკუთარი სახელ-დიდებისთვის მსახურებს: „შეხედეთ, რა კარგი ვარ, ნახეთ, რა გავაკეთე ეკლესიისა და უფლისათვის“. იესომ თქვა: „შენ კი, როცა მოწყალებას გასცემ, შენს მარცხენას ნუ ეცოდინება, რას აკეთებს შენი მარჯვენა“ (მათ. 6, 3. 4). მინდა, რომ დრო და დრო გავიხსენო ეს რჩევა: მოდით, ღმერთს ქრისტესთან ერთად ვემსახუროთ, არა საკუთარი სახელ-დიდებისათვის, არამედ მის სადიდებლად!

გაიხსენეთ მდიდარი ჭაბუკის ისტორია: ის ემსახურებოდა უფალს, იცავდა მცნებებს და ძალიან მდიდარი იყო. როცა მან იკითხა, თუ რა უნდა გაეკეთებინა, რათა საუკუნე სიცოცხლე ჰქონოდა, იესომ უთხრა: „წადი, შენი ქონება გაყიდე [...] მერე მოდი და გამომყევი!“ (მათ. 19, 21). მაგრამ ჭაბუკმა ეს ვერ შეძლო. ის მზად იყო, ემსახურა ღვთისათვის, მაგრამ არა ქრისტესთან ერთად. ვინც ღმერთს ქრისტესადმი სიყვარულით ემსახურება, მისთვის ქრისტესთან თანაზიარება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამქვეყნიური სიმდიდრე ან წარმატება. ქრისტესთან ერთად მსახურება ნიშნავს, რომ ჩემთვის ქრისტესთან თანაზიარება ყველაზე მნიშვნელოვანია.

პეტრე ემსახურებოდა ქრისტეს, მაგრამ ზოგჯერ მასთან ერთად არა. როცა იესომ თავისი ტანჯვისა და სიკვდილის შესახებ იუწყა, პეტრეს არ უნდოდა ამის დაჯერება. ნუთუ ღვთის ძე, რომელიც ღმერთს ემსახურებოდა, უნდა მომკვდარიყო? ეს ხომ შეუძლებელი იყო! იესომ უთხრა მას: „მომცილდი, სატანავ!“ (მათ. 16, 23). ის აზრი, რომ, თუ კაცი უფალს ემსახურება, დაცული იქნება ტანჯვისა და მწუხარებისგან, არ არის კარგი. იესომ თქვა, რომ მისი მიმდევრებიც მასავით დაიტანჯებოდნენ. ქრისტესთან ერთად მსახურება ნიშნავს იმას, რომ მზად ვარ ვემსახურო ღმერთს მაშინაც, თუ კი ამისათვის ტნჯვისა და მწუხარების ატანა მომიწევს.

მინდა კიდევ ერთი ღვთის მსახური გავიხსენო: იოანე ნათლისმცემელი, რომელიც დიდი წინასწარმეტყველი იყო და უფალს ემსახურებოდა. ის თავის მისიას ასრულებდა და მესიის მოსვლას იუწყებოდა - მაგრამ ის არ იყო მზად, ემსახურა ქრისტესთან ერთად. მას სურდა, რომ ღმერთს დაესაჯა ცოდვილები და დედამიწაზე წესრიგი დაემყარებინა. მაგრამ ეს არ იყო იესო ქრისტეს მისია. ის ამ ქვეყნის სამართავად არ მოსულა; ის ადამიანებისათვის ამქვეყნიური პრობლემების გადასაჭრელად არ მოსულა; ის არც ცოდვილების დასასჯელად მოსულა. მისი მისია ცოდვილების გადარჩენა იყო.

ბევრი ადამიანი ღვთის მსახურად თვლის თავს და დარწმუნებულია, რომ მისი დავალება წესრიგის დამყარებასა და ცოდვილების დასჯაში მდგომარეობს. მაგრამ იესომ თქვა: „ჩემი მეუფება არ არის ამქვეყნიური“ (იოან. 18, 36). ვისაც ღვთისათვის მსახურება სურს, მას ცოდვილების დასჯა კი არ უნდა უნდოდეს, არამედ უნდა უყვარდეს ისინი. როცა ფარისევლებმა მრუში ქალის მოკვლა მოინდომეს, ფიქრობდნენ, რომ ასე ღმერთს ემსახურებოდნენ. თუმცა იესომ ცხადად დაანახა, რომ მათ მოვალეობაში არავითარ შემთხვევაში არ შედიოდა დასჯა (შევ. იოან. 8, 2-11). მოდით, ღმერთს ქრისტესთან ერთად ვემსახუროთ!

იესომ კიდევ თქვა, რომ კარგია, როცა ადამიანები ღმერთს სწირავენ. მაგრამ თუ ამავე დროს ისინი განაწყენებული იქნებიან მოყვასზე, მაშინ შეუძლიათ მიატოვონ ეს საქმე. იმიტომ, რომ მნიშვნელობა აღარ ექნება ამ შესაწირს. მან თქვა: „წადი, ჯერ შენს ძმას შეურიგდი, მერე მოდი და შესწირე შენი ძღვენი“ (მათ. 5, 24). ამით იმის თქმა უნდოდა, რომ ადამიანი ვერ ემსახურება ღმერთს, თუ სძულს მოყვასი. მოდით, უფალს ქრისტესთან ერთად ვემსახუროთ!

ბოლო პუნქტი: ერთხელ მოწაფეები ერთმანეთში იმაზე კამათობდნენ, თუ ვინ იყო მათ შორის ყველაზე დიდი. ამაში იგულისხმებოდა ის, რომ სხვასთან შედარებით ცოტათი უკეთესი ყოფილიყვნენ. იესომ კი თქვა: „ვისაც თქვენს შორის პირველობა სურს, ის იყოს ყველას მონა“. უფლისათვის მსახურება მოყვასისათვის მსახურებასაც ნიშნავს. ქრისტესთან ერთად მსახურება სხვებზე გაბატონებასა და ძალაუფლების განხორციელებას არ გულისხმობს. ამის ადგილი ქრისტეს ეკლესიაში არ არის. იესომ თქვა: „რადგან ძე კაცისა არ მოსულა იმისათვის, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისათვის, რომ თავად ემსახუროს“ (მარკ. 10, 45).

როგორც ხედავთ, ბევრი ასპექტი არსებობს იმისათვის, თუ როგორ გვინდა, რომ ღმერთს

სამხ. მოციქული ედი ისნუგროჰო

სამხ. მოციქული კუბუბა ზოკო

ვემსახუროთ, თუმცა მას ქრისტესთან ერთად უნდა ვემსახუროთ - მისი მოძღვრებისამებრ. იესო ნავეს ძე აქ ამბობს, რომ ის და მისი სახლი უფალს ემსახურება. ე. ი., თვითონ და ყველა, ვინც მას იყო მინდობილი. ცხადია, აქ გვახსენდება ღვთისმსახურნი და ის მორწმუნენი, რომლებიც მათ ენდობიან. გვაგონდება მშობლები ბავშვებთან ერთად. ვფიქრობ, ყველა მათგანს სურს, ემსახუროს უფალს იმათთან ერთად, ვინც მათ არის მინდობილი - მაგრამ უფლის სამსახურს ვერავის ვაიძულებთ. ამის უფლება არ გვაქვს და ეს არც ღვთის ნებას შეესაბამება.

ღმერთს სურს, რომ თვითეულმა თავად გააკეთოს თავისუფალი არჩევანი და მიიღოს გადაწყვეტილება, სურს თუ არა მისი სამსახური. მაშასადამე, არც ჩვენ გვაქვს უფლება, ძალა დავატანოთ სხვებს. ბევრმა მშობელმა გამოსცადა, რომ არ შეიძლება შვილს ამის გაკეთება აიძულო. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია ის არის, რომ მათ ჩვენი მაგალითისათვის მიბაძვა მოვანდომოთ.

ეს თქვენც გეხებათ, საყვარელო ახალგაზრდა ძმებო და დებო. მოვა დრო და მშობლები გახდებით, მაგრამ დღესვე შეგიძლიათ თქვენს მოყვასს უფლისათვის მსახურების სტიმული მისცეთ. ნუ შეეცდებით მათ დარწმუნებას, ნურც მათ მუქარას შეეცდებით; ისეთს ნურაფერს შეჰპირდებით, რაშიც დარწმუნებულნი არ ხართ, რომ შესრულდება; უბრალოდ იმას შეეცადეთ, რომ თქვენი მაგალითის მიბაძვა მოუნდეთ და ისე ემსახურონ უფალს, როგორც თქვენ აკეთეთ ამას.

როგორ შევძლოთ ეს? წინა მუხლში ნათქვამია: „ახლა გეშინოდეთ უფლისა და ემსახურეთ მას წრფელად და ერთგულად“ (იესო 24, 14). ამ გზით შევძლებთ, მოყვასს და ჩვენზე მონდობილ ადამიანებს იმისკენ ვუბიძგოთ, რომ ისე ემსახურონ უფალს, როგორც ჩვენ თავად ვემსახურებით მას, გულწრფელად და ერთგულად.

ვთქვი, რომ უფალს მადლიერებით ვემსახურებით; მაგრამ, მოდით, დავამტკიცოთ, რომ ჩვენი მადლიერება ჭეშმარიტია. გავიხსენოთ ისრაელის ხალხი: ყოველ ჯერზე, როცა ღმერთი გადაარჩენდა ხოლმე მათ, ადიდებდნენ მას და მადლიერნი იყვნენ - რამოდენიმე დღის შემდეგ კი ყველაფერს ისევ ივიწყებდნენ, უკამყოფილონი და განრისხებულნი იყვნენ ღმერთზე. ჩვენი მადლიერება ჭეშმარიტი იქნება, თუკი იგი თავმდაბლობიდან მოდის. ჩვენი მადლიერება ჭეშმარიტი იქნება, თუ სრულიად დარწმუნებულნი ვიქნებით იმაში, რომ ყველაფერს ღმერთს უნდა ვუმადლოდეთ; რომ ყველაფერი, რაც გაგვაჩნია, ღვთიური წყალობის შედეგია და არა ჩვენი დამსახურების, ჩვენი ნიჭის, ჩვენი ძლიერების ან კიდევ სხვა რამის. თავმდაბალმა ადამიანმა იცის: „ვერაფერს დავიმსახურებ. ყოველივე საბოძვარია, ყოველივე ღვთის მადლია.“ ვინც ასეა განწყობილი, მისი მადლიერება ჭეშმარიტია - ამის დანახვა და აღქმა კი შესაძლებელია. დაე, ჩვენი მადლიერება ჭეშმარიტი იყოს და თავმდაბლობიდან მოდიოდეს; მაშინ იგი მუდმივი იქნება და უფლისათვის მსახურების მოტივაციას მოგვცემს.

მოდით, ვიყოთ მტკიცენი ღვთისადმი ერთგულებაში! მაშინაც კი, თუ დიდხანს ლოდინი მოგვიწევს, ვიდრე ჩვენი მსახურების შედეგს დავინახავთ; მაშინაც კი, თუ კურთხევა ჯერ კიდევ არ ჩანს. დარწმუნებულნი ვართ რა, რომ ღმერთი შეასრულებს თავის დანაპირებს, იმედიანად ვართ, ვენდობით მას და ფარ-ხმალს არ ვყრით. არ არსებობს არანაირი საფუძველი იმისა, რომ მისთვის მსახურება შევწყვიტოთ.

მოდით, ღვთისადმი სიყვარულშიც გულწრფელნი ვიყოთ. უფალს მადლიერებიდან, ნდობიდან და სიყვარულიდან გამომდინარე ვემსახუროთ. მოდით, გულწრფელნი ვიყოთ იესო ქრისტეს სიყვარულში. მდიდარი ჭაბუკის ისტორია გვიჩვენებს, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იესოსთან ურთიერთობაა.

ვიცი, ხშირად მითქვამს ეს, მაგრამ კვლავ გავიმეორებ სრულიად შეგნებულად: ის, რაც დედამწაზე ხდება, ვერ მოახდენს გავლენას იესო ქრისტეს სიყვარულზე. ვერაფერი, რაც დედამიწაზე ხდება, ვერ მოსპობს იესო ქრისტესადმი გულწრფელ სიყვარულს. იესო ქრისტესადმი გულწრფელ სიყვარულზე ვერც სხვა ადამიანთა ქცევა მოახდენს

ექვსი მოციქული იქნა ორდინირებული: ეპისკოპოსი იულის მათაიო მსამბულა, მახ. ჩარლზ გუდვინ ანაგსი, ეპისკოპოსი ობედ შისენგა, ეპისკოპოსი მაიკლ მახა, ეპისკოპოსი მიკ ნიუნიუ და სამხ. ხუცესი რინგ მუნკომბწე ნდამბო

გავლენას და ვერც უმრავლესობის აზრი. ხალხს შეუძლია გამოთქვას თავისი სურვილი, შეუძლია დაწეროს და ინტერნეტში გამოაქვეყნოს: ეს ვერ დააზიანებს ჩვენს სიყვარულს იესოს მიმართ და ვერც მასთან ურთიერთობას!

იესოს მიმართ ჩემს სიყვარულს არ ეხება არც ჩემი პირადი სიტუაცია - ვიქნები მდიდარი თუ ღარიბი, სნეული თუ ჯანმრთელი. მე მიყვარს ქრისტე, ვინაიდან მას ვუყვარვარ, და ეს არის იმის საფუძველი, თუ რატომ ვემსახურები მას. მოყვასის მიმართ სიყვარულიც გულწრფელი უნდა იყოს. იესოს სიყვარული იმდენად დიდია, რომ მას მისი მსხვერპლშეწირვიდან და მორჩილებიდან გამომდინარე დამსახურების ჩვენთვის გაზიარება სურს. მას არც ერთი ცოდვა არ ჩაუდენია. მისი სიყვარული სრულყოფილია, და ამიტომაც შეძლო მან, როგორც პირველმა ადამიანმა, ღვთის სასუფეველში შესვლა - ის ჩვენგან იგივეს გაკეთებას არ მოითხოვს, რაც თავად შეძლო, ვინაიდან იცის, რომ ჩვენ ეს არანაირად არ ძალგვიძს. ამიტომაც სურს, რომ თავისი დამსახურების მოზიარენი გაგვხადოს.

ვისაც მოყვასი გულწრფელად უყვარს, მაშასადამე, მას უნდა, რომ მანაც იგივე მიიღოს, რაც თვითონ მიიღო; მას არ სურს, რომ მოყვასზე ცოტათი უკეთესი იყოს, ან მასზე უფრო მეტი ჰქონდეს. ადამიანი ვერ შეძლებს ჰქონდეს იმაზე მეტი, ვიდრე ღმერთთან სრული თანაზიარებაა. ის ვერ შეძლეებს, მიიღოს იმაზე მეტი ან გახდეს იმაზე მეტი, ვიდრე იყოს ისეთი, როგორიც იესო ქრისტეა. მაგრამ ხანდახან გვეჩვენება, რომ ეს საკითხი ეჭვქვეშ დგება. ადამიანს ცოტა უფრო მეტის ქონა უნდა. განსაკუთრებული საზღაურის მიღება. ძალიან კმაყოფილი ვიქნები, თუ ქრისტესნაირი გავხდები და მის დიდებაში შესვლას შევძლებ. მოყვასისადმი ჭეშმარიტი სიყვარული არ მოითხოვს იმას, რომ მოყვასზე მეტი გვქონდეს. მისი სურვილია, რომ მოყვასმაც იგივე მიიღოს, რაც ჩვენ მივიღეთ.

ბოლო პუნქტი: გულწრფელობა იმ მსხვერპლშეწირვით შეიძლება გაიზომოს, რისი გაღებისთვისაც ჩვენ ვართ მზად; იმით, თუ ღმერთთან სრული თანაზიარებისთვის რისი უარყოფისთვის ვართ მზად: მაგ, მე უარს ვიტყვი ამ აზრზე, რადგან ის არ მოდის იესო ქრისტეს მოძღვრებასთან თანხმობაში. მე მივუტევებ მოყვასს, რამეთუ იესო ქრისტესთან ერთობისთვის მისთვის მიტევება აუცილებელია. ჩვენი გულწრფელობა იმ მსხვერპლშეწირვითაც იზომება, რომელსაც იმ მიზნით ვწირავთ, რომ ერთნი ვიყოთ ქრისტესთან.

თუ დაინახავენ ადამიანები, რომ თქვენი და-ძმანი, თქვენი მშობლები ან მეგობრები ღმერთს გულწრფელად და ჭეშმარიტად ემსახურებიან, თუ დაინახავენ, რომ ნამდვილად მზად არიან ქრისტესთან ერთად მსახურებისთვის, ღვთისათვის მსახურებისთვის ისე, როგორც ამას იესო აკეთებდა, მაშინ ბევრი მათგანის რეაქცია ისეთივე იქნება, როგორც იმჟამად ისრაელის ხალხის: „ჩვენც ვემსახურებით უფალს, რადგან ის არის ჩვენი ღმერთი“ (იესო, 24, 18). ამას გისურვებთ, საყვარელო ახალგაზრდებო, თქვენ და ასევე ყველა ჩვენთაგანს.

ძირითადი აზრები

ღმერთს იმიტომ ვემსახურებით, რომ გვწამს მისი აღთქმის და მადლიერნი ვართ მისი ჩვენთვის გაკეთებული სიკეთის გამო. ღმერთს იესო ქრისტეს მაგალითის მიბაძვით ვემსახურებით. ვიქნებით რა გულწრფელნი მცდელობაში, ჩვენს გარშემო მყოფებს ღვთის მსახურებისთვის წავახალისებთ.

მოციქული ვოლფგანგ შუგი ავლაბრის თემში ქადაგების დროს
მოციქული ვ. შუგი ახმეტის თემში

სიახლეები საქართველოდან

2023 წლის 20-27 მარტს საქართველოს მოციქული ვოლფგანგ შუგი სტუმრობდა. მას თან ახლდნენ სამხ. ხუცესი იურგენ ფოლმანი და ეპისკოპოსი რენე ფოლმანი. მისი ეს ვიზიტი სიახლეებით იყო დატვირთული. ეს სიახლეები ეხებოდა როგორც ორგანიზაციულ საკითხებს, ასევე სულიერ სფეროს.

მოციქულმა ვ. შუგმა 22 მარტს, ოთხშაბათს, თბილისში, ავლაბრის თემში, ჩაატარა ღვთისმსახურება, რომელსაც საფუძვლად დაუდო სიტყვები მარკოზის სახარებიდან 9, 31. 32: „ასწავლიდა თავის მოწაფეებს და ეუბნებოდა: ‘ კაცის ძე გადაცემულ იქნება კაცთა ხელში, მოკლავენ მას და მესამე დღეს აღდგება.“ ღვთისმსახურებას 30 მორწმუნე ესწრებოდა.

მეორე დღეს, ხუთშაბათს, მოციქულმა ავლაბრის თემში ძმების საათი ჩაატარა, რომელსაც საქართველოში მოღვაწე მღვდელმსახურები ესწრებოდნენ. განხილილ იქნა შემდეგი თემები:

- „ქალი სასულიერო თანამდებობაზე“, რომელსაც გარკვეული ახსნა-განმარტებანი მოჰყვა. მოც. ვ. შუგი აგვისტოში ვიზიტის დროს სემინარს ჩაატარებს ამ საკითხთან დაკავშირებით და მოცემულ თემას უფრო დაწვრილებით განიხილავს;
- რამოდენიმე აქტუალური საკითხი სამხ. მღვდელმსახურთა კრების დღის წესრიგიდან;
- „ძირითადი მიმართულებანი მღვდელმსახურთათვის“ - ამ წიგნის 2023 წლის ახალი გამოცემა.

რაც შეეხება სასულიერო ნაწილს, განხილულ იქნა იესო ნავეს ძის ისტორია (იესო, 1, 9): იესო ნავეს ძე და ქალები მზვერავებად გაგზავნეს ქანაანის ქვეყანაში. ბევრს იმედი არ ჰქონდა, რომ ამ ქვეყანაში შესვლას შეძლებდნენ, მაგრამ იესო ნავეს ძის სიტყვებმა: ღვთის შეწევნით, ყველაფერი გამოვაო, თავისი გავლენა მოახდინა ისრაელიანებზე. ღვთის აღთქმები აღსრულდება, ის ყოვლისშემძლეა, ჩვენთვისაც. თუმცა ზოგჯერ იესო ნავეს ძეც იჩენდა სისუსტეს - ჩვენ, მღვდელმსახურები, იარაღი ვართ ღვთის ხელში. მას სურს, რომ ჩვენი და სულიწმიდის მეშვეობით მისი საქმე წარმატებით დაასრულოს.

იესოს მიერ მომხდარი დაპურების სასწუალიც უნდა გავიხსენოთ, აღნიშნა მოციქულმა, - ხშირად რაღაც-რაღაცეები გვაკლია და ვფიქრობთ, რომ ბევრი რამ არ გამოვა და პრობლემებს ვხედავთ. ამ დროს მხოლოდ ის უნდა გავაკეთოთ, რასაც ღმერთი გვეტყვის და მივენდოთ მას. იესოს იმის ჩვენება უნდოდა, რომ ღმერთს მცირედის გამრავლებაც

შეუძლია. ამის წინაპირობა კი მოწაფეთა მხრიდან რწმენა და მორჩილება იყო. ჩვენც იგივე უნდა გავაკეთოთ დღეს.

ზოგჯერ მოთმინებაა საჭირო, რის მაგალითსაც კანაში ქორწილი წარმოადგენს - მოთმინებით უნდა დაველოდოთ საქმის დასასრულს, იესოს ჩართულობით ყოველთვის ყველაფერი კარგად დამთავრდება.

შაბათს, 25 მარტს, მოციქული მის თანმხლებლებთან ერთად კახეთში გაემგზავრა. იქ მან ორი ღვთისმსახურება ჩაატარა ახალშენისა და ახმეტის თემებში. ქადაგება მან ფსალმუნებიდან აღებული ციტატით წარმართა (ფსალმ. 22, 5): „გააწყვე ტაბლა ჩემს წინაშე ჩემს მტერთა თვალწინ, ზეთი სცხე ჩემს თავს; სავსეა ჩემი თასი პირთამდე.“

26 მარტს, კვირას მოციქულმა თბილისის ერთმორწმუნე და-ძმებისათვის იმსახურა. ამ ღვთისმსახურებას ესწრებოდნენ ეპისკოპოსი რაფაელი სომხეთიდან და ერთმორწმუნე და აზერბაიჯანიდან სვეტლანა სტეპანოვა. ეს ღვთისმსახურება სიახლეებით გამოირჩეოდა: მოც. ვ. შუგმა ერთმორწმუნე და სვეტლანა სტეპანოვა დიაკვნად აკურთხა აზაერბაიჯანის თემისათვის. კავკასიის ახალსამოციქულო ეკლესიებისათვის ეს იყო ქალის დიკავნად ორდინირების პირველი შემთხვევა. გარდა ამისა, პირველად განხორციელდა ასევე პირდაპირი ტრანსლიაცია თბილისიდან ბათუმსა და ბაქოში. ღვთისმსახურება ორ ენაზე ითარგმებოდა: ქართულად და რუსულად. ავლაბრის თემის ერთი მორწმუნე კი სულიწმიდით აღიბეჭდა.

ამ ვიზიტის ფარგლებში მოციქულმა ვ. შუგმა პენსიაში მყოფი მღვდელმსახურებიც მოინახულა: მახარებელი გოჩა ამკოლაძე და მღვდელი მერაბ რაქვიაშვილი.

27 მარტს, ორშაბათს დილით, მოციქული და მისი თანმხლებლები სამშობლოში დაბრუნდნენ.

სვეტლანა სტეპანოვას დიაკვნად კურთხევა
სულიწმიდით აღბეჭდვა

იესო და სამარიელი ქალი

იოან. 4, 1-12-ის მიხედვით

იესო მოწაფეებთან ერთად გალილეისკენ გაემართა. გზად სამარიაში გაიარა და მივიდა ქალაქ სიქარში. იქ ის ერთ ჭასთან ჩამოჯდა, რომელიც თავის დროზე იაკობმა ამოთხარა.

იესო ხანგრძლივმა მგზავრობამ დაღალა. მოწაფეები ქალაქში წავიდნენ ცოტაოდენი საჭმელის საყიდლად.
ამ დროს ჭიდან წყლის ამოსაღებად ერთი სამარიელი ქალი მოვიდა. იესომ უთხრა მას: „წყალი დამალევინე.“ ქალი გაოცდა, როცა იესო გამოელაპარაკა მას. იმჟამად იუდეველებსა და სამრიელებს შორის არც თუ ისე კარგი ურთიერთობა იყო: სამარიელებთან საქმის

დაჭერა არავის უნდოდა.
იესომ უთხრა ქალს: „რომ იცოდე, ვინ ვარ, სიცოცხლის წყალს მთხოვდი.“
ქალს გაუკვირდა: „შენ ხომ არ გაქვს წყლის ამოსაღები ჭურჭელი, ჭა კი ღრმაა. რა ვქნათ?“
იესომ მიუგო: „ვინც ამ წყლიდან შესვამს, კვლავ მოსწყურდება, ‘ხოლო ვინც შესვამს წყლიდან, რომელსაც მე მივცემ მას, საუკუნოდ არ მოსწყურდება.“
„მეც მინდა ასეთი წყალი“, თქვა ქალმა.

საუბარში ქალმა შეამჩნია, რომ იესომ ყველაფერი იცოდა მისი ცხოვრების შესახებ. და ამ დროს მიხვდა იგი, თუ ვინ იყო იესო.
ქალი ქალაქში გაიქცა და სხვებიც მოიყვანა.
იესო ორი დღით დარჩა იმ ქალაქში და ღვთის სიტყვას ქადაგებდა.
და ხალხმა უთხრა ქალს: „შენი სიტყვებით როდიღა გვწამს, ვინაიდან თავად ვისმინეთ და ვიცით, რომ ჭეშმარიტად ეს არის მაცხოვარი ქვეყნისა, ქრისტე.“

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 01, 2023 წ.; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატი

სტუმრად როზელთან სეტუბალში (პორტუგალია)

გამარჯობათ! მე მქვია როზელი, ვარ შვიდი წლის და ვცხოვრობ პორტუგალიაში, სეტუბალის რეგიონში. აქ ჩემს პატარა ძმა ევანთან ერთად მხედავთ, ის ოთხი წლის არის. ჩემს მშობლებს ჰქვიათ ქრისტინა და პედრო.

ღვთისმსახურებებს სეტუბალის თემში ვესწრებით. სურათზე მხედავთ მე და ჩემს მეგობარ გოგონას ჩვენი ეკლესიის საკურთხევლის წინ. სეტუბალი მარტო იმ რეგიონს კი არ ჰქვია, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, არამედ ზღვასთან მდებარე საპორტო ქალაქსაც.

თუ ჩრდილოეთით 40 კმ-ს გავივლით, ლისაბონს მივადგებით. ის პორტუგალიის დედაქალაქია. მის ერთ-ერთ სიმბოლოს 25 დე აბრილი (ძველი ხიდი) წარმოადგენს. ის გადებულია მდინარე ტაგუსზე და თავისი სიგრძით - 2278 მ. - მესამე დაკიდული ხიდია მსოფლიოში. მისი სახელი იმ დღის სამახსოვროა, როცა 1974 წელს პორტუგალიის დიქტატორი ჩამოაგდეს.

ეს ფოტო ჩემი ძმის სულიწმიდით აღბეჭდვას ასახავს. ამ ფოტოზე კი ჩემს მშობლებს, ევანს და მე გვხედვათ ჩვენს მოციქულ დიმიტრიოს დინიცთან ერთად.

მართლია, ჩვენ პორტუგალიელები ვართ, მაგრამ მე და ევანი ნორვეგიაში დავიბადეთ. ჩემი ოჯახი იქ შვიდი წელი ცხოვრობდა. აქ ჩემს მშობლებს ხედავთ პირველმოციქულთან ერთად, როცა იგი ნორვეგიაში ერთმორწმუნე დაძმებს ესტუმრა. აბა, მე სად ვარ ამ სურათზე? დედაჩემის მუცელში.

მაშინ ოსლოს თემს ვეკუთვნოდით. საკვირაო სკოლაშიც იქ წავედი. მართალია, მომწონს პორტუგალიაში ცხოვრება, მაგრამ ჩემი იმჟამინდელი მეგობრები ჯერ ისევ მენატრება.

აქ, პორტუგალიაში, ძალიან სასიამოვნო კლიმატია, თითქმის სულ თბილა. პორტუგალიას ატლანტიკის ოკეანეზე ძალიან გრძელი სანაპირო ზოლი გასდევს უამრავი პლაჟით. ზღვაზე ხშირად გავდივართ ხოლმე მთელი ოჯახით, იქ მე და ევანი ქვიშაში ვთამაშობთ. ვცხოვრობ რა ფერმაში, უმეტეს დროს გარეთ ვატარებ. მიყვარს ბატუტზე ხტომა, საცურაო აუზზე სიარული და ჩემს ძმასთან ერთად ცეკვა.

ჩემი საყვარელი საჭმელია ალმონდეგასი, პორტუგალიური ხორცის ბურთულები სპაგეტით.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 01. 2023 წ.; ფოტოები: ბორადი; ანდრეი; Wel - stock.adobe.com

ქალების ორდინაცია: იესო ქრისტე და ეკლესია

ძველი აღთქმის ისტორიები შესაქმეს შესახებ კაცისა და ქალის თანასწორობასა და თანაბარ ღირსებაზე მოწმობს. თუმცა მოციქულთა ზოგიერთი ეპისტოლე განსხვავებებს მაინც აკეთებს. რას ამბობს იესო ქრისტე ამასთან დაკავშირებით? და როგორ მოექცა ახალსამოციქულო ეკლესია ამ საკითხს? - „ქალების ორდინაციის“ თემასთან დაკავშირებული მოძღვრებითი წერილის მესამე ნაწილი.



ფოტო: gabriffaldi - stock.adobe.com

ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო ასწავლის, რომ იესო ქრისტემ „თავის ეკლესიას უშუალოდ ერთი სასულიერო თანამდებობა მისცა, კერძოდ, მოციქულობა“ (კატ. 7. 4). და კიდევ: „იესო ქრისტემ მოწაფეთა წრიდან თორმეტი კაცი ამოირჩია და მოციქულად დანიშნა (მარკ. 3, 13-19; ლუკ. 6, 13-16)“ (კატ. 7. 4. 2). ეკლესიაში სასულიერო თანამდებობის ფორმისა და მნიშვნელობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოციქულობას. ამიტომაც უნდა დაისვას კითხვა, თუ რა ნორმატიული შედეგები გამომდინარეობს სასულიერო თანამდებობისა და ეკლესიისათვის იმ ფაქტიდან, რომ იესომ მხოლოდ და მხოლოდ კაცებს მოუწოდა მოციქულებად.

თორმეტი მოციქულის არჩევა

მართალია, იესო არ იზიარებდა ბევრი თანამედროვის მიკერძოებულ აზრს ქალებთან დაკავშირებით, რომლებიც მისდევდნენ მას და მოწაფეებსაც ეხმარებოდნენ, მაგრამ მოციქულებად მაინც მხოლოდ კაცები აირჩია. მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებები - ე. ი. სინოპტიკური სახარებები - თორმეტი მოწაფის მოციქულად დანიშვნის შესახებ მოგვითხრობს (მათ. 10, 1-4; მარკ. 3, 13-19; ლუკ. 6, 13-16).

კითხვას, თუ მისი ამქვეყნად ცხოვრების პერიოდში, რატომ აირჩია იესომ მოციქულებად მხოლოდ

მამაკაცები, პირველ რიგში, ციფრი „თორმეტის“ ტიპოლოგიური მნიშვნელობით შეიძლება გაეცეს პასუხი. ისრაელის მამამთავრებიც კაცები იყვნენ, ამდენად მათსა და ახალი და უნივერსალური ღვთის ხალხის „მამებს“ შორის ამ კუთხითაც უნდა იქნას გავლებული პარალელი.

თუმცა მამაკაცების არჩევას თავისი პრაქტიკული მიზეზებიც ჰქონდა, რაც იმდროინდელ სოციალურ მდგომარეობას უკავშირდება. ვინაიდან, შეიძლება ითქვას, რომ სახარების ქადაგების დავალება თავისთავად წარმოშობს იმის აუცილებლობას, რომ სასულიერო თანამდებობა კაცებს მიენდოს, მით უმეტეს, რომ იესომ, როცა მიავლენდა მათ, ასე „დაარიგა ისინი და უთხრა: ‘წარმართთა გზაზე არ იაროთ და სამარიელთა ქალაქში არ შეხვიდეთ“ (მათ. 10,5). მაშასადამე, თავიანთ მოღვაწეობაში ისინი იუდაური მოსახლეობით უნდა შემოფარგლულიყვნენ და, რა თქმა უნდა, - როგორც თავად იესო აკეთებდა და რაც პირველი საუკუნის შუახანებამდე იყო მიღებული -, გზავნილი ღვთის სასუფევლის მოახლოების შესახებ სინაგოგებში ეუწყებინათ (მარკ. 1, 39; 6, 1; საქმე 13, 14; 17, 17). სინაგოგებში ჩატარებულ ღვთისმსახურებებში მონაწილოება კი მხოლოდ მამაკაცებს შეეძლოთ, მხოლოდ მათ ჰქონდათ უფლება, წაეკითხათ წმიდა წერილები და განემარტათ ისინი. იუდაური თემის კონტექსტში ყოველივე ამის გაკეთება ქალებს არ შეეძლოთ.

კითხვა დამახასიათებელი ნიშნების შესახებ

თუ უარს ვიტყვით იესოს მიერ მამაკაცების მოციქულებად არჩევის კლასიფიკაციაზე თანამედროვე და კულტურულ-ისტორიული ან ხსნის ისტორიის თვალსაზრისით, სამართლიანი იქნება იმის მოთხოვნაც, რომ მოციქულობა არა მხოლოდ მამაკაცებისგან უნდა შედგებოდეს, არამედ ასევე მხოლოდ იუდეველებისგან; მაშინ მარტო თორმეტი კაცი უნდა იყოს და არა ამაზე მეტი.

ასეთ შემთხვევაში მოციქულის სასულიერო თანამდებობის პერსონალური დაკავებაც, რაც მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული არსებობს, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა, ვინაიდან იესო მის მიერ იმჟამად არჩეულ მოციქულებისგან მოითხოვდა, „რათა ყოფილიყვნენ მასთან“ (მარკ. 3, 14), ე. ი., პალესტინაში მოგზაურობის დროს თან ხლებოდნენ.

ეს მოთხოვნა ჭეშმარიტი მოციქულობის დამახასიათებელი ნიშანი რომ გამხდარიყო, მაშინ ვერც პავლე იქნებოდა ჭეშმარიტი მოციქული. იესოს თავად არანაირი დასაბუთება არ მოუცია მის არჩევანთან დაკავშირებით. ამდენად, აქედან ნორმატიული შედეგების გაკეთება ეკლესიასთან მიმართებაში შეუძლებელია.

> დასკვნა: „2021 წლის მაისის სამხ. მოციქულთა კრებამ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: ‘ახალი აღთქმის მოწმობის თანახმად იესომ მხოლოდ მამაკაცებს მოუწოდა მოციქულებად. ეკლესიის ხელმძღვანელობა მათ მიანდო. ჩვენთვის არ არის ცნობილი იესოს გამონათქვამები იმ კითხვაზე, შეიძლება თუ არა, რომ მის ეკლესიაში ქალებსაც მიენიჭოთ სასულიერო თანამდებობა. იესოს სიტყვები და საქმეები არ იძლევა ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა ქალთა ორდინაცია. გადაწყვეტილების მიღება ეკისრებათ მოციქულებს სულიწმიდის წარმართვით.“

ახალსამოციქულო ქალი-დიაკვნების ისტორია

კათოლიკურ-სამოციქულო და ასევე ახალსამოციქულო თემებში იყვნენ ქალები, რომლებიც დიაკვებად მსახურობდნენ. კათოლიკურ-სამოციქულო ეკლესიაში ქალ-დიაკვნებს თემში მსახურებისათვის ანგელოზი - ანუ წინამძღვარი - აკურთხებდა. ისინი არ იღებდნენ ხელდასხმით კურთხევას მოციქულისგან.

სავარაუდოდქალ-დიაკვნებსარცახალსამოციქულო თემებში აკურთხებდნენ ხელდასხმით, არამედ ისინი სპეციალურ კურთხევას იღებდნენ. ის, თუ ვის მიერ ხდებოდა ეს, არ ჩანს. 1950-იან წლებამდე ქალი-დიაკვნები ძირითადად სამწყსო და საქველმოქმედო დავალებებს ასრულებდნენ თემებში. „კითხვებისა და პასუხების“ 1952 წლის გამოცემაში ქალი-დიაკვნები უკვე ნახსენები აღარ არიან.

მოძღვრებითი დასაბუთების გარეშე

მომდევნო წლებში სასულიერო თანამდებობაზე ქალთა ორდინაციის საკითხის განხილვა საკმაოდ თავშეკავებულად ხდებოდა. 1999 წელს - ე. ი. პირველმოციქულ ფერის მოღვაწეობის პერიოდში - გამოცემულ „პირველმოციქულის უწყებაში“, რომელიც სასულიერო თანამდებობის გაგებას ეხება, ბოლო წინადადებაში ლაკონური შენიშვნა გვხვდება: „ახალსამოციქულო ეკლესიაში ქალები არ ატარებენ არანაირ სასულიერო თანამდებობას. ამ საკითხში ეკლესია იესო ქრისტეს მაგალითზეა

ფოტო: ანგო ატამან - stock.adobe.com

ორიენტირებული და იცის, რომ ეს წმიდა წერილს შეესატყვისება.“

მომდევნო წლებში პირველმოციქულებმა ფერმა და ლებერმა მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ ქალთა ორდინაციის საკითხი ღია იყო. მოციქულების მხრიდან ოფიციალური და თეოლოგიურად დასაბუთებული განცხადება იმ პრობლემასთან დაკავშირებით, რომელიც ქალსა და სასულიერო თანამდებობას ეხება, არ არსებობდა.

ქალების როლი აწმყოსა და მომავალში

დღეს ქალები მრავალნაირ საქმიანობას ეწევიან ეკლესიაში. ისინი ხელმძღვანელობენ საკვირაო და წინასაკვირაო სკოლებს, ატარებენ რელიგიის და კონფირმანდების გაკვეთილებს, ასევე აქტიურად მუშაობენ ახალგაზრდებთან. აქ, ნაწილობრივ, საქმე ეხება სახარების ქადაგებას და მის გაზიარებას. ისინი ორდინირებულ და არაორდინირებულ მამაკაცებთან ერთად გუნდში მღერიან და ღმერთის დიდებას, თაყვანისცემასა და ვედრებას გამოხატავენ ლექსებითა და ბიბლიური ტექსტებით. ამგვარი განვითარება თავისთავად განაპირობებს ქალთა ორდინაციის საკითხის წარმოშობას.

ქალებისათვის თანამდებობრივი უფლებამოსილების მინიჭების საკითხი იმ მოძღვრების ფონზეც ჩნდება, რომ მამაკაცები და ქალები თანაბრად არიან მოწოდებულნი პირმშოობისკენ და სამეფო სამღვდელობაში მონაწილეობისკენ და ყველა მათგანი ახალ სხეულს მიიღებს, რომელიც მკვდრეთით აღმდგარი უფლის მსგავსი იქნება. მშვიდობის სასუფეველში „სამეფო სამღვდელოება“ ქრისტესთან ერთად იმეფებს და სახარებას იქადაგებს. ეს ესქატოლოგიური მოწოდება, რომელიც მომავალს ეხება, აჩენს აზრს, რომ კაცსა და ქალს, თანამდებობრივი უფლებამოსილების წყალობით, უკვე ამჟამად შეუძლიათ ემსახურონ მოყვასის ხსნას.

rდასკვნა: მეოცე საუკუნის პირველ ნახევრამდე ქალებს დიაკვნის მსახურებას აკისრებდნენ. მოგვიანებით ეს უკვე აღარ ხდებოდა - ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. ეკლესიაში დღეს ქალები საქმიანობენ როგორც მასწავლებლები და ახალგაზრდების ხელმძღვანელები. ქალებისათვის თანამდებობრივი უფლებამოსილების მინიჭების საკითხი იმ რწმენის ფონზე დგება, რომ კაცები და ქალები თანაბრად არიან მოწოდებული პირმშოობისკენ და სამეფო სამღვდელოებისკენ.

თეოლოგიური შეფასება

თუ ახალი აღთქმის მოწმობებს თანამდებობრივი უფლებამოსილებისა და თანამდებობრივი დავალების კუთხით შევხედავთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი არ ეხებიან თანამდებობრივი უფლებამოსილების თემას და თითქმის არანირ არგუმენტს არ გვთავაზობენ იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ შეიძლება, რომ ქალებმაც მიიღონ ეს უფლებამოსილება.

მცირეოდენი უარმყოფელი განცხადებები, რომლებიც პასტორალურ ეპისტოლეებში გვხვდება, ეკლესიაში სხვადასხვა საქმიანობას ეხება და, ამდენად, იმ კონტექსტს ეკუთვნის, რომელსაც სასულიერო თანამდებობის ახალსამოციქულო გაგებაში თანამდებობრივი დავალება ეწოდება. პასტორალურ წერილებში ქალებს ეკლესიაში საქმიანობა ეკრძალებათ და არ არის დასაბუთებული, თუ რატომ არ შეიძლება მათთვის სასულიერო თანამდებობის დაკისრება. მაშასადამე, ახალი აღთქმის კონტექსტში თანამდებობრივი უფლებამოსილების პრობლემაზე არც აშკარად და არც ირიბად არ არის ლაპარაკი.

ეს, რა თქმა უნდა, იმასაც უკავშირდება, რომ, როგორც წესი, ახალ აღთქმაში არანაირი დეტალური განცხადება არ არის გაკეთებული მოძღვრებასთან მიმართებაში. უკეთეს შემთხვევაში, მოცემულია მინიშნებები სამერთობის, საიდუმლოთა გაგების, ეკლესიისა და თანამდებობის შესახებ. ამ თემებთან დაკავშირებული მოძღვრებითი პოზიციების შემუშავება პრინციპში მხოლოდ მეორე საუკუნეში დაიწყო, ე. ი. ახალი აღთქმის ეპოქაში.

ქრისტეში არ არსებობს განსხვავება

სასულიერო თანამდებობაზე ქალთა ორდინაციის თეოლოგიური დასაბუთება შესაძლებელია მხოლოდ ანთროპოლოგიურად (ე. ი. ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე) და სოტერიოლოგიურად (ადამიანისათვის ხსნის საჭიროებიდან გამომდინარე). ადამიანის ღვთისხატობა, რაც ალბათ ნათელი უნდა იყოს, წარმოადგენს ქალთა ორდინაციის გამართლების ჰერმენევტიკულ (ჰერმენევტიკა: ტექსტის ინტერპრეტაცია და გაგება) გასაღებს. ღვთისხატობა განაპირობებს ღმერთის ადამიანთან ფუნდამენტური ურთიერთობის და ადამიანის ღმერთთან ურთიერთობის ჩამოყალიბებას. კაცი და ქალი თანაბრად წარმოადგენენ ღვთის ხატს, ამდენად, ისინი უშუალოდ ღმერთთან არიან კავშირში.

ანთროპოლოგიურად ეს შემდეგს ნიშნავს: კაცი და ქალი, ქალი და კაცი, ერთი და იგივე ღირსების მატარებლები არიან და ერთი და იგივე დავალება მიიღეს ღვთისგან: „ღმერთი მის უმაღლეს ქმნილებას სიცოცხლის ძალას ანიჭებს და ისეთ ღვთიურ თვისებებს უზიარებს მას, როგორიც არის სიყვარული, პიროვნულობა, თავისუფლება, გონიერება და უკვდავობა“ (კატ. 3. 3. 2). მართალია, კაცი და ქალი წარმოშობის მიხედვით ღვთის სრულყოფილ ქმნილებებს წარმოადგენენ, მაგრამ ცოდვით დაცემამ ისინი ერთნაირად დააზიანა და თან ისე, რომ ორივე მემკვიდრეობითი ცოდვითა და ცოდვისკენ მიდრეკილებით არის შეპყრობილი. კაცი და ქალი ცოდვილები არიან და ერთნაირად სჭირდებათ ღვთიური კეთილმოწყალება და გამოსყიდვა. მაშასადამე, ქალი და კაცი თანაბრად განიცდის სოტერიოლოგიურ საჭიროებას.

დაცემული ადამიანის მიმართ ღმერთის კეთილმოწყალება ორივეს ეხება: იესო ქრისტე კაცებისთვისაც მოკვდა და ქალებისთვისაც და ხსნა, რომელიც მან მოიპოვა, ორივეს ერთად ეხება. თუ ადამიანებს სქესისგან დამოუკიდებლად შეუძლიათ ხსნის მიღება, მაშინ მათ ხსნის გადაცემაც შეუძლიათ სქესისგან დამოუკიდებლად - რამდენადაც ხსნა სიტყვისა და საიდუმლოს მეშვეობით ხორციელდება.

პავლეს აზრით, ქრისტეში არ უნდა იყოს განსხვავება იუდეველსა და წარმართს შორის, მონასა და თავისუფალს შორის, ან კაცსა და ქალს შორის (გალ. 3, 28). ქრისტესამებრ, ყველა მორწმუნის პრინციპული ჩამოყალიბება, რაზედაც აქ მოციქული ლაპარაკობს, გაშუქებულ უნდა იქნას როგორც ეკლესიის ან ხსნის გადაცემის პრინციპი და ფუნდამენტი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მკვდრეთით აღმდგარი იესო არც კაცია და არც ქალი, რადგან, იესოს სიტყვისამებრ, მკვდრეთით აღმდგარებს გენდერული დამახასიათებელი არ გააჩნიათ (მარკ. 12, 25).

> დასკვნა: ახალი აღთქმის მოწმობები, რომლებიც ღვთისმსახურებაზე და თემის ცხოვრებაში ქალების მონაწილეობის წინააღმდეგ გამოდის, ამის დამაჯერებელ თეოლოგიურ დასაბუთებას არ იძლევა. ამ წერილების უმრავლესობას აშკარად პრაგმატული ხასიათი აქვს და დროშია შეზღუდული. სასულიერო თანამდებობაზე ქალთა ორდინაციის თეოლოგიური დასაბუთება შესაძლებელია მხოლოდ ანთროპოლოგიურად (ე. ი. ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე) და სოტერიოლოგიურად (ადამიანისათვის ხსნის საჭიროებიდან გამომდინარე).

ღმერთის, შემოქმედის, წინაშე თანასწორობა და თანაბარი ღირსება, არანაირი გამონათქვამები იესო ქრისტეს მიერ და მოციქულთა წერილებში არსებული წინააღმდეგობანი: ასეთია ბიბლიური ანალიზის შედეგი. რა მოძღვრებით დასკვნებს გააკეთებს აქედან ახალსამოციქულო ეკლესია? სწორედ ამ საკითხს შეეხება „ქალების ორდინაციასთან“ დაკავშირებული მოძღვრებითი წერილის შემდეგი და ბოლო ნაწილი.

ფოტო: 1STunningART - stock.adobe.com

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: სიმონ ჰაინიგერი

პროგრამა

01. 07. 2023 წ.	კაბინდა (ანგოლა)
02. 07. 2023 წ.	კაბინდა (ანგოლა)
09. 07. 2023 წ.	ჰელსინკი (ფინეთი)
16. 07. 2023 წ.	კინშასაა (კონგოს დრ)
18. 07. 2023 წ.	იდიოფა (კონგოს დრ)
23. 07. 2023 წ.	კანანგა (კონგოს დრ)
30. 07. 2023 წ.	ზაარბრიუკენი (გერმანია)
06. 08. 2023 წ.	პერთი (ავსტრალია)
09. 08. 2023 წ.	ადელაიდა (ავსტრალია)
11. 08. 2023 წ.	ტამა (იაპონია)
13. 08. 2023 წ.	ჩუნჩეონი (სამხრ. კორეა)
17. 09. 2023 წ.	ბერნ-ოსტერმუნდინგენი (შვიეცარია)
24. 09. 2023 წ.	ერი (აშშ)

New Apostolic Church
International